ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი № 4

2025 წლის 31 მარტი, 14:00 საათი, თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. სამუშია ჯაბა, რექტორი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
2. აბაშიძე ზურაბ
3. ამირხანაშვილი ივანე
4. ბაქრაძე თეიმურაზ
5. ბახტაძე მიხეილ
6. გავაშელი ცისმარი
7. გონაშვილი ვასილი
8. გუჯეჯიანი როზეტა
9. დვალიძე ირაკლი
10. ვეფხვაძე თამარ
11. ლომინაძე გიორგი
12. მაჭავარიანი მარინე
13. ნადარაია ელიზბარ
14. საბაური ლევან
15. სადრაძე ნინო
16. ფურთუხია ომარ
17. ქოიავა კახაბერ
18. ქუთელია გურამ
19. ქურდაძე რამაზ
20. შარაშიძე ნინო
21. შენგელაია ალექსანდრე
22. შენგელია თემურ
23. ჩხაიძე ზურაბ
24. ჩიტაშვილი მარინე
25. ცხადაძე ედიშერ
26. ძაგანია მაია
27. წერეთელი მარი
28. ხოდელი ნოდარ

აკადემიური საბჭოს სხდომის მდივანი: ნინო მაჩურიშვილი, რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსი.

სხდომას ესწრებოდნენ:
კახაბერ ჭეიშვილი (თსუ რექტორის მოადგილე), ერეკლე ასტახიშვილი (თსუ რექტორის მოადგილე), ნინო გვენეტაძე (თსუ რექტორის მოადგილე), ლაშა საღინაძე (თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი), შოთა ფოთოლაშვილი (თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), არჩილ კუკულავა (იურიდიული დეპარტამენტის უფროსი), ნანა ჯაფარიძე (რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს მთავარი სპეციალისტი), პეტრე ბაბილუა (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი), მაია ბიწკინაშვილი (მედიცნის ფაკულტეტის დეკანი), თამარ ჭელიძე (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), დარეჯან გარდავაძე (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), თამარ დოლბაია (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), ლილი ხეჩუაშვილი (ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), მარინა ჩავლეიშვილი (ეკონომიკისა და ბიზნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), ნინო ჩიხლაძე (მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), გიორგი მახარობლიშვილი (იურიდიული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), დალი კანდელაკი (საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის უფროსი), ზურაბ შენგელია (აფხაზეთის ინსტიტუტის დირექტორი).

სხდომის დღის წესრიგი:

1. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების ცვლილების დამტკიცების შესახებ - მომხსენებელი დალი კანდელაკი
2. მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალისთვის შრომის ანაზღაურების გაზრდის შესახებ - მომხსენებელი მაია ბიწკინაშვილი
3. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ - მომხსენებელი ლილი ხეჩუაშვილი
4. საგანმანათლებლო პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებების დამტკიცების შესახებ:

- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი - მომხსენებელი თამარ ჭელიძე
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - მომხსენებელი დარეჯან გარდავაძე
- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - მომხსენებელი თამარ დოლბაია
- ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი - მომხსენებელი ლილი ხეჩუაშვილი
- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი - მომხსენებელი მარინა ჩავლეიშვილი
- მედიცინის ფაკულტეტი - მომხსენებელი ნინო ჩიხლაძე
- იურიდიული ფაკულტეტი, ევროპისმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამა - მომხსენებელი გიორგი მახარობლიშვილი

5. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროგრამების - ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკოლოგია“ და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „გამოყენებითი ეკოლოგია“ - კლასტერულ აკრედიტაცაზე წარდგენის შესახებ - მომხსენებელი თამარ ჭელიძე
6. 2024 წლის 13 დეკემბრის № 138/2024 დადგენილებით დამტკიცებულ „დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტში“ ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ - მომხსენებელი შოთა ფოთოლაშვილი
7. მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარში ცვლილების შეტანის შესახებ - მომხსენებელი შოთა ფოთოლაშვილი
8. თსუ დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - აფხაზეთის ინსტრიტუტის დებულების ცვლილების დამტკიცების შესახებ - მომხსენებელი ზურაბ შენგელია
9. ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის ლაბორატორიის სტატუსის ცვლილების შესახებ - მომხსენებელი გიორგი ლომინაძე
10. აკადემიური პერსონალის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისა და აკადემიური საბჭოს დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ:
    - მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი შალვა ფარულავა (გარდაცვალების გამო)
    - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი იზოლდა ჭილაძე (პირადი განცხადების საფუძველზე).

სხდომის დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

საკითხი 1. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის უფროსმა დალი კანდელაკმა აკადემიური საბჭოს წევრებს წარუდგინა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის № 116/2018 დადგენილებაში ცვლილების პროექტი, რომელიც განხილულია ფაკულტეტების საბჭოებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო საბჭოების მიერ.

აკადემიურმა საბჭომ კენჭი უყარა საკითხს და ერთხმად დაამტკიცა დადგენილებით.

საკითხი 2. მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა მაია ბიწკინაშვილმა აკადემიური საბჭოს წევრებს წარუდგინა “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ (დანართი 1)“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებების პროექტი, აკადამიური პერსონალის თანამდებობრივი სარგოს მატება გათვალისწინებულია 2025 წლის ბიუჯეტში და შეთანხმებულია საფინანსო დეპარტამენტთან, სახელფასო ფონდი არ აჭარბებს ფაკულტეტის ბიუჯეტით განსაზღვრულ პარამეტრებს. ამ ცვლილების ძალაში შესვლა დაგეგმილია 2025 წლის 1 აპრილიდან.

აკადემიურმა საბჭომ კენჭი უყარა საკითხს და ერთხმად დაამტკიცა დადგენილებით, აკადემიური საბჭოს წარდგინებით საკითხი დასამტკიცებლად გაეგზავნება წარმომადგენლობით საბჭოს.

საკითხი 3. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლილი ხეჩუაშვილმა აკადემიურ საბჭოს წევრებს წარუდგინა „ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება“.

აკადემიურმა საბჭომ კენჭი უყარა საკითხს და ერთხმად დაამტკიცა დადგენილებით.

საკითხი 4. თსუ ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებმა აკადემიური საბჭოს წევრებს წარუდგინეს საგანმანათლებლო პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებები:

- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამების და გამოყენებითი ფიზიკის, ბიოლოგიის,

კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი ცვლილებები წარადგინა თამარ ჭელიძემ;

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის, ისტორიის, ფილოსოფიის, არქეოლოგიის, ხელოვნებათმცდონეობის, კულტურის კვლევების, ანთროპოლოგიის, ამერიკათმცოდნეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი ცვლილებები წარადგინა დარეჯან გარდავაძემ;
- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის, საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო, პოლიტიკის ანალიზისა და საჯარო პოლიტიკის, სოციალური მუშაობის, მედიის კვლევების, დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის, მედიაფსიქოლოგიისა და კომუნიკაციების, ევრაზიისა და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი ცვლილებები წარადგინა თამარ დოლბაიამ;
- ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო, სადოქტორო, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის, გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის, იურიდიული ფსიქოლოგიის, გავლენებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის, განათლება და ადამიანური რესურსების განვითარება სამაგისტრო და მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი ცვლილებები წარადგინა ლილი ხეჩუაშვილმა;
- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საბაკალავრო, სამაგისტრო სადოქტორო, ფინანსების საბაკალავრო, ტურიზმის, ადამიანური რესურსების მართვის, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში, ხელოვნების მენეჯმენტის, საექსპორტო სტრატეგიების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი ცვლილებები წარადგინა მარინა ჩავლეიშვილმა;
- მედიცინის ფაკულტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო - პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ცვლილებები წარადგინა ნინო ჩიხლაძემ;
- იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სამაგისტრო და ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი ცვლილებები წარადგინა გიორგი მახარობლიშვილმა.

აკადემიურმა საბჭომ კენჭი უყარა საკითხს და ერთხმად დაამტკიცა დადგენილებით.

საკითხი 5. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თამარ ჭელიძემ აკადემიური საბჭოს წევრებს გააცნო ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკოლოგია“ და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „გამოყენებითი ეკოლოგია“ - კლასტერულ აკრედიტაცაზე წარსადგენად.
აკადემიურმა საბჭომ კენჭი უყარა საკითხს და ერთხმად დაამტკიცა დადგენილებით.

საკითხი 6. თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა შოთა ფოთოლაშვილმა აკადემიური საბჭოს წევრებს წარუდგინა 2024 წლის 13 დეკემბრის № 138/2024 დადგენილებით დამტკიცებულ „დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტში“ შესატანი ცვლილებისა და დამატებების პროექტი.
აკადემიურმა საბჭომ კენჭი უყარა საკითხს და ერთხმად დაამტკიცა დადგენილებით.

საკითხი 7. თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა შოთა ფოთოლაშვილმა აკადემიური საბჭოს წევრებს წარუდგინა მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარში შესატანი ცვლილების პროექტი.
აკადემიურმა საბჭომ კენჭი უყარა საკითხს და ერთხმად დაამტკიცა დადგენილებით.

საკითხი 8. თსუ დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - აფხაზეთის ინსტრიტუტის დირექტორმა ზურაბ შენგელიამ აკადემიური საბჭოს წევრებს წარუდგინა თსუ დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - აფხაზეთის ინსტრიტუტის დებულების ცვლილების პროექტი.
აკადემიურმა საბჭომ კენჭი უყარა საკითხს და ერთხმად დაამტკიცა დადგენილებით.

საკითხი 9. აკადემიური საბჭოს წევრმა გიორგი ლომინაძემ წარადგინა ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარტოგრაფია-გეოინფორმატიკის ლაბორატორიისთვის განყოფილების სტატუსის მინიჭების შესახებ საკითხი და აღნიშნა, რომ ცვლილება არ საჭიროებს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.
აკადემიურმა საბჭომ კენჭი უყარა საკითხს და ერთხმად დაამტკიცა დადგენილებით.

საკითხი 10. აკადემიურმა საბჭომ განიხილა თსუ აკადემიურ პერსონალთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საკითხი:

- მედიცინის ფაკულტეტის პროფესორ შალვა ფარულავას გარდაცვალების გამო;

- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის იზოლდა ჭილაძის პირადი განცხადების საფუძველზე.

და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ შევიდეს ცვლილება აკადემიური საბჭოს 2018 წლის № 157/2018 და 2019 წლის 22 ივლისის №N91/2019 დადგენილებებში.

სხდომა დასრულდა 15:30 საათზე.

აკადემიკოსი ჯაბა სამუშია
რექტორი, პროფესორი
აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე

ნინო მაჩურიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი
რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსი